ქვემო ქართლის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის შენიშვნებზე რეაგირების ცხრილი		
N	**კომენტარები გზშ-ს ანგარიშზე**	**ქვემო ქართლის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გზშ-ს ანგარიშის დაზუსტებული ინფორმაცია**
1	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი Nგ-701 (07.03.2023) წერილის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე გადის შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული ორმაფიანი მიწისქვეშა მილსადენი (ს/კ 84.00.111), რომლის 96 მეტრიანი მონაკვეთი შემოღობილია და მოქცეულია მოსაწყობი ნაგავსაყრელის ტერიტორიაში, რაც კატეგორიულად დაუშვებელია. მიწისქვეშა მილსადენების გასხვისების ზოლი, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2003 წლის 30 ივნისის N19 ბრძანების (,,სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისთვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა- გასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად, შეადგენს 12-12 მეტრს მილსადენის ორივე მხარეს, რისი დაცვაც აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ Nგ-701 წერილში აღნიშნულია, რომ თანდართული სქემის შესაბამისად წარმოდგენილი კოორდინატების ფარგლებში მიმდინარეობს მილსადენისა და მისი შიდა ქსელის კომპანიის საკუთრებად რეგისტრაციის პროცესი. აღნიშნულ მილსადენს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, ხოლო მასზე დაკიდებული შიდაქსელის რეაბილიტაცია დაგეგმილია უახლოეს მომავალში. რეაბილიტაციის შემდეგ სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი იქნება თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტების 2500 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ამასთან, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ 2023 წლის 24 იანვრის N04/19 (სააგენტოში რეგისტრაციის N429) წერილსა და თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემულია შპს „საქართველოს მელიორაციის“ თანხმობა კომპანიის კუთვნილი მილების გადაკვეთაზე, გზის მოწყობის სამუშაოების წარმოდგენილი პროექტის მიხედვით. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის ნახსენები შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რეგისტრირებული	სკოპინგისა და გზშ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში, შპს "საქართველოს მელიორაცია"-სთან შედგა კორესპონდენცია და შეთანხმებულ იქნა პროექტი. შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი Nგ-701 (07.03.2023) წერილის საფუძველზე, შედგა დამატებითი კორესპოდენცია შპს "საქართველოს მელიორაციასთან" და მათი უკუკავშირი გათვალისწინებული იქნება მშენებლობის დაწყებამდე. შესაბამისი წერილები თან ერთვის წარმოდგენილ დოკუმენტს (დანართი 1).

	ორმაფიანი მიწისქვეშა მილსადენი (ს/კ 84.00.111). შესაბამისად, ყველა ზემოაღნიშნული საკითხი შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ობიექტების გადაკვეთასთან დაკავშირებით საჭიროებს დაზუსტებას და შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმებას.	
2	ჩატარებული ანგარიშების მიხედვით, გარე წყალარინების სისტემიდან მდ. ალგეთისკენ წყალი მიმართული იქნება ტრაპეციული ფორმის არხით, რომლის სიღრმე შეადგენს 0.40 მ-ს, რათა ,,გადაიკვეთოს საირიგაციო მილები“. წყალარინების სისტემის მარშრუტი უნდა დაიგეგმოს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული მილსადენის კვეთა;	სკოპინგისა და გზშ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში, შპს "საქართველოს მელიორაცია"-სთან შეთანხმებულ იქნა პროექტი. გსშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ემყარება პროექტირების ეტაპზე შპს "საქართველოს მელიორაცია"-სთან შემდგარ კორესპონდენციას. შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი Nგ-701 (07.03.2023) წერილის საფუძველზე, შედგა დამატებითი კორესპოდენცია შპს "საქართველოს მელიორაციასთან" და მათი უკუკავშირი იქნება გათვალისწინებული მშენებლობის დაწყებამდე. შესაბამისი წერილები თან ერთვის წარდგენილ დოკუმენტს (დანართი 1).
3	საპროექტო ტერიტორიას მარნეული-თეთრიწყაროწალკის მეორე ხარისხოვან გზასთან აკავშირებს არსებული 1800 მ სიგრძის გრუნტის გზა, რომელიც სახელმწიფო დაქვემდებარებაშია. შპს ,,საქართველოს მელიორაცია“ განმარტავს, რომ ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალ მიწისქვეშა მილსადენზე მძიმეწონიანი მანქანების მოძრაობამ შესაძლებელია გამოიწვიოს მათი დაზიანება, საფრთხე შეუქმნას მილსადენების გამტარუნარიანობას და შეამციროს სარწყავ ფართობებზე მისაწოდებელი წყლის საანგარიშო რაოდენობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მისასვლელი გზის მარშრუტი Shp ფაილებით;	შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი Nგ-701 (07.03.2023) წერილის საფუძველზე, შედგა დამატებითი კორესპოდენცია შპს "საქართველოს მელიორაციასთან" და მათი უკუკავშირი იქნება გათვალისწინებული მშენებლობის დაწყებამდე. შესაბამისი წერილები თან ერთვის წარდგენილ დოკუმენტს (დანართი 1).

4	გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობის ნაწილი (50 000.00 მ2), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 84.10.38.017) მოცემულ ეტაპზე ფიზიკური პირის - ლევან პაპაშვილის (პ/ნ 22001002393) საკუთრებაა, რომლის საკუთრებაში შემოტანაც დაწყებულია და მოხდება ფიზიკური პირის საკუთრების მიწის ნაკვეთის სხვა ნაკვეთით ჩანაცვლება. გზშ-ის ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ პარალელურად, კომპანიის მიერ მოხდება კერძო საკუთრების დარეგისტრირება და მისი სასოფლო-სამეურნეოდან, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სტატუსის ცვლილება. ხოლო ყოველივე ზემოხსენებული პროცედურების დასრულებისთანავე, კომპანია დამატებით წარმოადგენს საკუთრების დამადასტურებელ და სტატუსის ცვლილების დოკუმენტს სააგენტოს მიერ გზშ-ის ანგარიშის განხილვის დასრულებამდე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე არ მომხდარა სააგენტოში ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ მიწის ნაკვეთი (ს/კ 84.10.38.017) კვლავ ფიზიკური პირის საკუთრებაშია და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა;	გაცნობებთ, რომ ქვემო ქართლის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის მიზნით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ წინწყაროს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი (50 000.00 კვ.მ - ს/კ 84.10.38.000.017) შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ განცხადების შედეგად, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის N722 განკარგულების საფუძველზე, დარეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრებად. აღნიშნული მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია როგორც სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. კომპანიის მოთხოვნისა და სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიმართვის საფუძველზე, შპს "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო"-ს მიერ მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის (50 000.00 კვ.მ - ს/კ 84.10.38.000.017) მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების რეგისტრაცია (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: N882023455073), რათა დარეგისტრირდეს როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად. სარეგისტრაციო პროცედურების დასრულების შემდეგ, აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადმოეცემა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ საკუთრებაში. დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის N722 განკარგულებას, ამონაწერს საჯარო რეესტრიდან და მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების რეგისტრაციის განაცხადს (დანართი 2).
5	გზშ-ის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის დაწყება იგეგმება 2023 წლის პირველ კვარტალში, მშენებლობის სავარაუდო ხანგრძლივობაა 14 თვე“ საჭიროებს დაზუსტებას;	განახლებული, დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად : ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის დაწყება იგეგმება 2023 წლის მეოთხე კვარტალში, მშენებლობის სავარაუდო ხანგრძლივობაა 14 თვე.
6	გზშ-ის ანგარშის ცხრილში 3 (საპროექტო ტერიტორიის და ძირითადი ობიექტების კოორდინატები) მოცემული GPS კოორდინატები არასწორია და საჭიროებს კორექტირებას/დაზუსტებას;	განახლებული, დაზუსტებული GPS კოორდინატები წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი 3).
7	გზშ-ის ანგარიშში დაბალი რეზოლუციით არის წარმოდგენილი 102-ე გვერდზე მოცემული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმა (სურათი 3.8.13.) და არ არის გარჩევადი, რაც საჭიროებს კორექტირებას;	განახლებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გემა/ სურათები წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი 4).

8	გზშ-ის ანგარიშში, 11.6.1. ქვეთავში (გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვის გეგმა მშენებლობის ფაზაზე) აღნიშნულია, რომ „ადგილობრივი მოსახლეობა არსებულ ტერიტორიას იყენებს საძოვრად. ეს საკითხი გადაიჭრება პროექტის ობიექტთან ახლოს ალტერნატიული საძოვრების ტერიტორიების შეთავაზებით“ (გვ. 365). ხოლო 11.6.2. ქვეთავში (გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მართვის გეგმა ოპერირების ეტაპზე) მითითებულია, რომ საძოვრების დაკარგვასთან დაკავშირებით „გავლენა უმნიშვნელოა, ვინაიდან ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას შესთავაზეს ალტერნატიული ტერიტორიები საძოვრად. ნარჩენების განთავსების ობიექტის მიმდებარე ტერიტორიები დარჩება ხელმისაწვდომი საძოვრებისთვის.“ ამასთანავე, 2023 წლის 21 თებერვალს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. შავსაყდარის საჯარო სკოლის შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე დამსწრე ადგილობრივმა პირმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სოფელში მესაქონლეობით დაკავებული პირებისთვის სულ 40 ჰა ფართობის საძოვარი მიწაა ხელმისაწვდომი, საიდანაც 20 ჰა მიწის ნაკვეთი ნაგავსაყრელის მოწყობა-ექსპლუატაციისთვის იქნება გამოყენებული, ხოლო დანარჩენი მიწები კერძო საკუთრებებშია. შესაბამისად, გამოითქვა ვარაუდი, რომ ის ერთი აუთვისებელი ტერიტორიაც აღარ ექნება სოფლის მოსახლეობას, რომელსაც საძოვრებისთვის იყენებდნენ. რასთან დაკავშირებითაც, კომპანიის წარმომადგენელმა საჯარო განხილვაზე აღნიშნა, რომ თუ მართლა მოხდება სოფლის საძოვრების ნაგავსაყრელისთვის ათვისება, მოხდება სხვა ტერიტორიებით მათი კომპენსაცია, თუმცა არც კომპანიის და არც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან არ დაფიქსირებულა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე საჯარო განხილვამდე რაიმე კომუნიკაციის შესახებ (მსგავსი კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია ასევე არ ახლავს გზშ-ის ანგარიშს). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, გზშ-ის ანგარიშში მოცემული ჩანაწერით დგინდება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არსებულ ტერიტორიას იყენებს საძოვრად, დაზუსტებას საჭიროებს მოსახლეობის ალტერნატიული საძოვრებით უზრუნველყოფის საკითხი, ალტერნატიული ტერიტორიების	ნარჩენების განთავსების ობიექტის სამშენებლო ტერიტორია არ არის და არც ყოფილა საძოვრებად რეგისტრირებული. ტერიტორიის დიდი ნაწილი (158000 კვ.მ. ს/კ:84.10.38.000.046) კომპანიის საკუთრებაშია 2018 წლიდან, ხოლო ტერიტორიის მცირე ნაწილი (50000 კვ.მ ს/კ: 84.10.38.000.017) 2012 წლიდან კერძო საკუთრებად იყო რეგისტრირებული. 11.6.1 და 11.6.2 ქვეთავების (ESMP მშენებლობის ეტაპზე და ESMP ოპერირების ეტაპზე) დამატებით გავმარტავთ, რომ პროექტის ობიექტის მიერ ათვისებული ტერიტორიის ფართობი უმნიშვნელო გავლენას იქონიებს საქონლის სულადობის სიმჭიდროვეზე და არ საჭიროებს განსაკუთრებულ შემარბილებელ ღონისძიებებს. 11.6.1: „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ორ უახლოეს ადმინისტრაციულ ერთეულში: ასურეთსა (მოიცავს სოფ. შავსაყდარს) და წინწყაროში (მოიცავს სოფ. წინწყაროს) საძოვრების საერთო ფართობი 3,111 ჰექტარია, ამ ორ ადმინისტრაციულ ერთეულში საქონლის სულადობა კი ჯამში - 1,910 სული. შესაბამისად, საქონლის სულადობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი ერთ ჰექტარზე არის 0.61395. საძოვრად გამოსაყენებელი მიწის ფართობის 20 ჰექტარით შემცირება სიმჭიდროვეს გაზრდის 0.61792-მდე, ანუ მხოლოდ 0.6%-ით. ამასთანავე, ევროპაში საქონლის სულადობის საშუალო სიმჭიდროვის მაჩვენებელი არის 0.7, რაც თითქმის ერთი მეათედით აღემატება პროექტის სამიზნე ტერიტორიაზე არსებულ მაჩვენებელს. ზემოაღნიშნულიდან დგინდება, რომ პროექტის ობიექტის მიერ ათვისებული საძოვრების ტერიტორიის ფართობი უმნიშვნელო გავლენას იქონიებს საქონლის სულადობის სიმჭიდროვეზე და არ საჭიროებს განსაკუთრებულ შემარბილებელ ღონისძიებებს. 11.6.2: „გავლენა უმნიშვნელოა, ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ორ უახლოეს ადმინისტრაციულ ერთეულში- ასურეთსა და წინწყაროში, საქონლის სულადობის საკმაოდ დაბალი სიმჭიდროვეა. მუხედავად იმისა, რომ ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე (20 ჰექტარი) მესაკუთრის

	მითითებით (საკადასტრო კოდი; GPS კოორდინატები);	ნებართვის გარეშე ხდებოდა საქონლის ძოვება, ამ ტერიტორიის გამოყენება დანიშნულებით არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას მესაქონლეობით დაკავებულ მოსახლეობაზე. ამასთანავე, ნარჩენების განთავსების ობიექტის მიმდებარე ტერიტორიები დარჩება ხელმისაწვდომი საძოვრებისთვის. დანართის სახით, წარმოგიდგენთ წერილს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტიდან, რითიც დასტურდება, რომ უშუალოდ ობიექტის მიმდებარედ მდებარეობს მნიშვნელოვანი ფართობის ტერიტორია, რითი საძოვრებად სარგებლობაც მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას შეუძლია (დანართი 5).
9	„ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების თანახმად, ნაგავსაყრელის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს საჭირო ტექნიკისა და პერსონალის არსებობა ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიის დასასუფთავებლად ნაგავსაყრელიდან ან ნარჩენების გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებებიდან ნარჩენებით დანაგვიანების შემთხვევაში. წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანების შემთხვევაში დასუფთავებისთვის შესაბამისი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;	ნარჩენების გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები: • ნარჩენების დღიური გადაფრვა ნიადაგის ფენით; • მწვანე ნარგავების გაშენება ობიექტის პერიმეტრზე; • უჯრედების აქტიური სეგმენტების შემოღობვა მობილური ღობეებით; • მისასვლელი გზის და მიმდებარე ტერიტორიის ყოველკვირეული შემოწმება და დასუფთავება ობიექტის თანამშრომლების მიერ. კომპანია უზრუნველყოფს ნარჩენების დღიურ გადაფარვას ნიადაგის ფენით ან ალტერნატული საფარით, რაც შეამცირებს ქარის მიერ გაფანტული ნარჩენების მოცულობას. დამატებით შემარბილებელ ღონისძიებებს მოიცავს ობიექტის პერიმეტრზე მწვანე ნარგავების გაშენება და უჯრედების აქტიური სეგმენტების შემოღობვა მობილური ღობეებით, რაც შეამცირებს ქარით მსუბუქი ფრაქციების ტერიტორიის გარეთ გაფანტვას; იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ქარის მიერ გაფანტული ნარჩენების აკუმულირება ტერიტორიის გარეთ, კომპანია უზრუნველყოფს ობიექტამდე მისასვლელი გზის და ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის ყოველკვირეულ შემოწმემას და დასუფთავებას. ოპერირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნება „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილება.

10	გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის წყალმომარაგებისთვის მოეწყობა 12,5 მ 3 მოცულობის ბეტონის ავზი, რომლის გვერდით განთავსდება სატუმბი სადგური, ხოლო ავზის წყალმომარაგება მოხდება ავზის მაგისტრალური მილსადენიდან (გვ. 99). თუმცა 101-ე გვერდზე მითითებულია, რომ ბეტონის რეზერვუარის წყალმომარაგება მოხდება წყლის ავზიანი მანქანების მეშვეობით. დაზუსტებას საჭიროებს ობიექტის წყალმომარაგების საკითხი;	ობიექტის სასმელი წყლისთვის განკუთვნილი ბეტონის რეზერვუარის მომარაგება მოხდება წყლის ავზიანი მანქანების მეშვეობით.
11	წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია ნაგავსაყრელის მოწყობის ეტაპზე „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ.	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები დაცული იქნება ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის ეტაპზე.